ტოილიებეკ ტურიკულიევ | საბა ტაველიშვილი
ანკარა ჰაჯი ბარიამ ველის უნივერსიტეტი | თავისუფალი უნივერსიტეტი
aqmyrzatoilybek@gmail.com | stave23@freeuni.edu.ge

დემოკრატიული კონსოლიდაცია და გარდამავალი ეტაპი ყაზახეთსა და ყირგიზეთში 1990 წლის შემდეგ: შედარებითი ანალიზი

რეზიუმე

საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად, ცენტრალური აზიის ქვეყნები დამოუკიდებელი სახელმწიფოები გახდნენ და პოლიტიკურ-სოციალური სტრუქტურირების პროცესებში ჩაერთვნენ. ამ პროცესმა გამოიწვია პოლიტიკური ტრანსფორმაციები, რომლებიც თითოეულმა ქვეყანამ განსხვავებული გზით განვლო. 1990 წლის შემდეგ დემოკრატიის კონსოლიდაცია ფუნდამენტური პოლიტიკური პროცესი გახდა ცენტრალური აზიის რეგიონში (Huntington 1991: 3-250).

ყაზახეთმა და ყირგიზეთმა ცენტრალური აზიის ქვეყნებიდან პირველებმა გადადგეს ნაბიჯები დემოკრატიზაციისკენ. სტატიაში განხილულია 1990 წლის შემდეგ ყაზახეთისა და ყირგიზეთის დემოკრატიზაციისა და მისი როგორც პოლიტიკური ინსტრუმენტის კონსოლიდაციის პროცესი.

დამოკრატიზაციის პროცესი

დემოკრატიაზე გადასვლა ხშირად განიმარტება, როგორც ავტორიტარული რეჟიმიდან დემოკრატიული ელემენტების მქონე სისტემაზე გადასვლა. ამ პროცესის მიზანია ისეთი ფუნდამენტური პრინციპების ჩამოყალიბება, როგორიცაა სამართლიანი და კონკურენტუნარიანი არჩევნები, ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების აღიარება, პოლიტიკური პარტიების თავისუფლად ორგანიზების შესაძლებლობა, სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერება, კანონის უზენაესობის განმტკიცება და მედიის თავისუფლების წახალისება (Huntington 1991: 25-35). თუმცა, ცენტრალური აზია დემოკრატიზაციის პროცესში არაერთ სირთულეს წააწყდა, მათ შორის იყო საბჭოთა მემკვიდრეობით დატოვებული ცენტრალიზებული ბიუროკრატია და სუსტი სამოქალაქო საზოგადოება (Roy 2000: 45-60).

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ყაზახეთმა, ყირგიზეთმა, ტაჯიკეთმა, უზბეკეთმა და თურქმენეთმა მემკვიდრეობით მსგავსი ისტორიული წარსული მიიღეს. თუმცა განსხვავებული ეკონომიკური რესურსებისა და ეთნიკურ-სოციალური დინამიკის ფონზე თითოეული ქვეყანა განსხვავებული „დემოკრატიზაციის“ გზას დაადგა. მაგალითად, მაშინ, როცა დიამონდი „შებრუნებული ტალღის“ (reverse wave) შესაძლებლობაზე საუბრობდა, ჰანთინგთონმა იწინასწარმეტყველა, რომ „დემოკრატიზაციის მესამე ტალღა“ (Third Wave) აღმოსავლეთ ევროპიდან ცენტრალურ აზიაშიც გავრცელდებოდა. მართლაც, როდესაც ყაზახეთმა, უზბეკეთმა და თურქმენეთმა პირველი რეფორმები გაატარეს, ისინი მალევე გადაიქცნენ „კონკურენტული ავტორიტარიზმის“ (competitive authoritarianism) ტიპის რეჟიმებად (O’Donnell, Schmitter, Whitehead 1986: 16).

ყირგიზეთში, რომელიც ცენტრალურ აზიაში შედარებით „ღია“ სისტემად მიიჩნევა 2005 და 2010 წლების „ტიტების რევოლუციის“ (Tulip Revolution) და საპროტესტო ტალღების ფონზე, დემოკრატიის სტაბილურობა დიდი გამოწვევების წინაშე დადგა. ამ პროცესში, O’Donnell და Schmitter-ის (1986) „ელიტების

მოლაპარაკების“ (elite bargaining) მიდგომა და Dahl-ის „პოლიარქიის“ (polyarchy, მრავალცენტრიანობის) მოდელი მნიშვნელოვან თეორიულ ჩარჩოს გვთავაზობს. მეორეს მხრივ, ლინცი და სტეფანი (Linz & Stepan, 1996) და თომას ქაროთერსი (Thomas Carothers 2002) შედარებით კრიტიკულად უდგებიან ცენტრალური აზიის საკითხს და ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ დემოკრატიის ინსტიტუციონალიზაციის სირთულეებს პოსტ-საბჭოთა სივრცეში არსებული მემკვიდრეობა და „ტრანზიტოლოგიის“ (transitology) პარადიგმის ნაკლებობა უქმნის საფრთხეებს. შეიძლება ითქვას, რომ ცენტრალური აზიის დემოკრატიულ გარდაქმნათა პროცესი იშვიათად ემთხვევა კლასიკურ ლიტერატურაში აღწერილ „ხაზოვან“ (linear) ან „კრისტალურად ორგანიზებულ“ ტრანზიციის გზას. ყაზახეთისა და ყირგიზეთის პოლიტიკური მოწყობას, სადაც „პატრონაჟი“ (patronalism) და „პირად ქსელებზე დაფუძნებული პოლიტიკა“ დომინირებს, გარე აქტორების (რუსეთი, ჩინეთი და დასავლური ორგანიზაციები) როლი უფრო ართულებს, ვიდრე აჩქარებს დემოკრატიზაციის პროცესს (Hale 2014).

დემოკრატიის კონსოლიდაცია არის პროცესი, რა დროსაც დემოკრატიული ინსტიტუციები, ნორმები და ღირებულებები შეუქცევადად მკვიდრდება, პოლიტიკური მოთამაშეები კი აღიარებენ ასეთ წყობას, როგორც „მხოლოდ ერთადერთ ლეგიტიმურ თამაშს“ (Linz & Stepan 1996: 5-15). მიუხედავად იმისა, რომ ცენტრალური აზიის ქვეყნებში პოლიტიკურ რიტორიკაში დემოკრატიზაციას დიდი ადგილი უჭირავს, ეკონომიკური სტრუქტურებისა და პოლიტიკური ელიტების წინააღმდეგობა დემოკრატიზაციის პროცესს მნიშვნელოვნად აფერხებს.

ყაზახეთის შემთხვევაში, პრეზიდენტის მმართველობა, რომელიც გამყარებულია ნავთობისა და ბუნებრივი აირის შედეგად მიღებული შემოსავლებით, ხელისუფლების ლეგიტიმურობას სოციალური კეთილდღეობის დაპირებებით ამყარებს. თუმცა, ოპოზიციური პარტიებისა და მედიის დათრგუნვის პირობებში, ფორმალურად ჩატარებული არჩევნების ფონზე, ეს სისტემა „კონკურენტული ავტორიტარიზმის“ სტრუქტურას უფრო ემსგავსება (Joldoshov 2010: 173-204). ყირგიზეთი კი განსხვავებულ პროფილს წარმოადგენს – ქვეყანა, რომელსაც არ აქვს ეკონომიკური სტაბილურობა (ხელისუფლების ხშირი ცვლილებების ფონზე) და დამოკიდებულია საგარეო დახმარებაზე – გააჩნია შედარებით უფრო აქტიური სამოქალაქო საზოგადოება.

ლინცისა და სტეფანის კონცეფციის ქცევითი, დამოკიდებულებითი და ინსტიტუციური (behavioral, attitudinal, institutional) განზომილებების ჭრილში, ყაზახეთის ოპოზიცია პოლიტიკურ არენაზე მოქმედებით სუსტად გამოიყურება, ხოლო ყირგიზეთში, ძლიერი ოპოზიციის მიუხედავად, ინსტიტუციური სტაბილურობის მიღწევა ვერ ხერხდება, ვინაიდან პერიოდული რევოლუციები მუდმივად არღვევს არსებულ სტატუს კვოს.

ცენტრალურ აზიაში, 1990-იანი წლების შემდეგ დემოკრატიზაციის მცდელობებმა მნიშვნელოვნად განსხვავებული პოლიტიკური შედეგები გამოიღო, მიუხედავად საერთო ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობისა. „განსხვავებული სისტემების დიზაინის“ (Most Different Systems Design) ფარგლებში, ნათელი ხდება, თუ რატომ გამოიღეს ამ ქვეყნებმა, საერთო ისტორიული საფუძვლების მიუხედავად, სრულიად განსხვავებული პოლიტიკური შედეგები (Przeworski 1970). ყოველივე ასახულია ქვეყნების კონსტიტუციებში, რომელიც მმართველი პარტიების მიერ იქნა შედგენილი. ამ კუთხით კი ორივე ქვეყანაში განსხვავებული სიტუაციაა.

ყაზახეთის პარლამენტის ჩანაწერების (1996–2020) და პარტიული კანონების მიხედვით, ნურ ოტანი (ამჟამად ამანატი) დიდი ხნის განმავლობაში ხელისუფლებაში იყო, ან მარტო, ან დიდი უმრავლესობით. ყირგიზეთში, მიუხედავად იმისა, რომ მრავალი პარტია ჩამოყალიბდა (როგორიცაა ატა-მეკენი, SDPK და სხვ.), არასტაბილური კოალიციები და მთავრობის ხშირი ცვლილებები ხელს უშლიდა საკანონმდებლო პროცესებს (Joldoshov, 2010). პარტიული ფრაგმენტაცია ხელს უშლის ყირგიზეთს სტაბილური საპარლამენტო უმრავლესობის ჩამოყალიბებაში, მიუხედავად მისი საპარლამენტო მრავალფეროვანი ტენდენციებისა.

ყაზახეთის კონსტიტუცია (1995 წ.) პრეზიდენტს ანიჭებს ფართო უფლებამოსილებებს, მათ შორის, პარლამენტის დაშლისა და მაღალი რგოლის ბიუროკრატების დანიშვნის უფლებას (მუხლები 42–48), რაც მნიშვნელოვნად აძლიერებს მის პოლიტიკურ ძალაუფლებას. 2007 წლის საკონსტიტუციო ცვლილებებმა გააუქმა კლასიკური ორვადიანი შეზღუდვა და პრეზიდენტს შეუზღუდავი არჩევის უფლება მიანიჭა. 2010 წელს მიღებულმა „ელბასის“ (სახელმწიფოს ლიდერი) კანონმა ნურსულთან ნაზარბაევის პოლიტიკურ სტატუსს დამატებითი ლეგიტიმაცია მისცა.

2022 წლის იანვრის პროტესტების (Qantar Events) შემდეგ, ყაზახეთში კვლავ განხორციელდა საკონსტიტუციო ცვლილებები, რომლებიც პრეზიდენტის ვადას 7 წლამდე ზღუდავდა და აუქმებდა მისი ხელახალი არჩევის შესაძლებლობას. გარდა ამისა, „ელბასის“[1] (სტატუსი კონსტიტუციიდან ამოიღეს, რაც სიმბოლურად მნიშვნელოვანი ცვლილება იყო. რეფორმების ძირითადი მიზნი ნაზარბაევის ეპოქის, ძლიერი კონცეფციის შემცირება იყო, თუმცა ანალიტიკოსთა ნაწილი სკეპტიკურად აფასებს რეალურ შედეგებს, რადგან ცენტრალიზებული მმართველობის ტრადიცია კვლავ ძლიერია.

ყირგიზეთის კონსტიტუცია (1993 და 2003 წლის შესწორებები) თავდაპირველად პრეზიდენტსა და პარლამენტს შორის ძალაუფლების ბალანსს ქმნიდა, თუმცა 1996 და 2003 წლებში შეტანილი ცვლილებები პრეზიდენტს დამატებით უფლებებს ანიჭებდა. 2010 წლის კონსტიტუციური რეფორმა პარლამენტარიზმისკენ გადახრას ასახავდა. მიუხედავად ამისა, ყირგიზეთის პოლიტიკურმა არასტაბილურობამ და მთავრობის ხშირმა ცვლილებებმა ინსტიტუციონალიზაციის პროცესს ხელი შეუშალა. 2005 და 2010 წლების აჯანყებების დროს, რომლებიც შეიძლება რევოლუციადაც კი შეფასდეს, იყო მცდელობა შეეჩერებინათ ძლიერი საპრეზიდენტო სისტემისკენ სწრაფვა.

ამ განსხვავებების მიუხედავად, როგორც ყაზახეთმა, ისე ყირგიზეთმა საბჭოთა ეპოქიდან მემკვიდრეობით მიღებული ცენტრალიზებული სახელმწიფო აპარატი შეინარჩუნეს. ყაზახეთში ნაზარბაევის მმართველობის დროს ჩამოყალიბებული ძლიერი საპრეზიდენტო სისტემა, მიუხედავად 2022 წლის რეფორმებისა, კვლავ ცენტრალიზაციისკენ მიისწრაფვის. ყირგიზეთში, პირიქით, ძალაუფლება უფრო ფრაგმენტული სახისაა, თუმცა პერიოდულად ცენტრალური ხელისუფლება ძლიერდებოდა, მაგალითად, აკაევისა და ბაკიევის მმართველობისას.

საბჭოთა კავშირის მიერ დატოვებულ კვალთან ერთად, რუსეთისა და ჩინეთის გავლენა ენერგეტიკასა და უსაფრთხოებაზე მნიშვნელოვან როლს ასრულებს რეგიონში განხორციელებული რეფორმების პროცესში (Diamond 1999). 1997 წლიდან ყაზახეთის ნავთობის ხელშეკრულებები და 2000 წლის შემდეგ ყირგიზეთის მიერ მიღებული საგარეო დახმარებები დასავლური დემოკრატიზაციის პროექტების მასშტაბს ზღუდავს.

Freedom House-ის (2023) და EIU-ის (Economist Intelligence Unit) ანგარიშების მიხედვით, ყაზახეთი და ყირგიზეთი საერთაშორისო ასპარეზზე „ნაწილობრივ თავისუფალი“ ან „ჰიბრიდული რეჟიმების“ კატეგორიაში ხვდებიან, რაც რეგიონში მიმდინარე გეოპოლიტიკური დინამიკის შედეგი უფროა ვიდრე საბჭოთა სისტემის გამოძახილი. პოსტ-საბჭოთა სივრცეში მრავლად მოიძებნება მაგალითები, რომელთაც შეძლეს ინსტიტუციური რეფორმების გატარება და დემოკრატიზაციის პროცესის დაჩქარება, მაგალითად ისეთი ქვეყნები როგორებიც არიან ბალტიისპირეთის პოსტ-საბჭოთა სახელმწიფოები, მოლდოვა, უკრაინა და საქართველო.

ეკონომიკური ფაქტორები:

EIU-ს (2022) მონაცემების მიხედვით, ყაზახეთის მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე (GDP), 1990-იან წლებში დაახლოებით 700-800 აშშ დოლარს შეადგენდა, იგი მნიშვნელოვნად გაიზარდა

1 ელბასი - ყაზახური ზედსართავი - ქართულად ნიშნავს ხალხის წინამძღოლი, ეროვნული ლიდერი.

2022 წლისთვის და 9,000-10,000 აშშ დოლარს მიაღწია. ყირგიზეთში GDP ერთ სულ მოსახლეზე შედარებით ნაკლებად გაიზარდა – 1990-იან წლებში 400-450 აშშ დოლარიდან 2022 წელს 1,200-1,400 აშშ დოლარამდე (radingeconomics). ორივე ქვეყანაში წიგნიერების დონე 98%-ს აღემატება, რაც საბჭოთა საგანმანათლებლო სისტემის მემკვიდრეობაა. თუმცა, უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა მაჩვენებელი განსხვავდება: ყაზახეთში ეს მაჩვენებელი 28%-ია, ხოლო ყირგიზეთში – 18%.

მედია და მესამე სექტორი:

ორივე ქვეყანაში მედია საერთაშორისო ანგარიშებში «ნაწილობრივ თავისუფალი» ან «არათავისუფალი» სტატუსით არის შეფასებული (rsf.org). ყაზახეთში მედიასაშუალებების უმეტესობა სახელმწიფოს მიერ კონტროლდება ან ირიბად მაინც დაკავშირებულია მმართველ წრეებთან. მაშინ როცა ყირგიზეთში შედარებით დამოუკიდებელი მედიასაშუალებები არსებობს, მაგრამ ხშირად განიცდიან მთავრობის ზეწოლას და ფინანსურ პრობლემებს. Polity IV-ის მონაცემები მიუთითებს, რომ ყაზახეთში მედიის კონტროლი უფრო მკაცრია, ხოლო ყირგიზეთში იგი დროთა განმავლობაში შერბილების პოლიტიკით ხასიათდება, თუმცა სრულიად დამოუკიდებელი მედია გარემო კვლავ არ/ვერ ჩამოყალიბებულა (systemicpeace.org, 2024). მედიისა და მესამე სექტორის გაძლიერებას ხელს უშლის ძალაუფლების ძლიერი კონსოლიდაცია, რასაც ემატება კორუფციის მაღალი დონე, რაც ორივე ქვეყანაში ნათლად არის გამოხატული. ყაზახეთი ეკონომიკურ უპირატესობებს იყენებს უფრო «კარგად ფუნქციონირებადი» ბიუროკრატიის ჩამოსაყალიბებლად, მაგრამ კრიტიკა არსებობს, რომ ბევრი სახელმწიფო მოხელე თანამდებობაზე «ცენტრალიზებული დანიშვნების» და პირადი კავშირების შედეგად ინიშნება. ყირგიზეთში ადმინისტრაციული სტრუქტურა უფრო ფრაგმენტულია, ხოლო დაბალანაზღაურებადი საჯარო მოხელეების მიერ ქრთამის აღების შემთხვევები ბიუროკრატიის ეფექტურობას ასუსტებს (Transparency International, 2023).

ყირგიზეთში დასავლური ინსტიტუციების მიერ დაფინანსებული სამოქალაქო ორგანიზაციები აქტიურად მონაწილეობენ საჯარო დებატებში მაშინ, როცა ყაზახეთში მათი საქმიანობა გაცილებით შეზღუდულია. ორივე ქვეყანაში «გამჭვირვალობა» და «სამართლის უზენაესობა» სამოქალაქო საზოგადოების მიერ ყველაზე ხშირად განხილული საკითხებია.

დემოკრატიზაცია რიტორიკაში
ყაზახეთი

მედია არქივებისა და ოფიციალური დოკუმენტების მიმოხილვით ყოფილი პრეზიდენტი ნურსულთან ნაზარბაევი, განსაკუთრებით 1997 წლის შემდეგ, ეკონომიკურ ზრდისა და საერთაშორისო პრესტიჟის ამაღლების მთავარ მიზნებად ასახელებდა ისეთ პროექტებს როგორიცაა «ყაზახეთის გზის წარმატება» (Kazakhstannın Yolı) და «სტრატეგია-2030».

სტრატეგია-2030: ეს არის კონცეფტუალური დოკუმენტი, რომელიც 1997 წელს დაანონსდა და ხაზს უსვამდა ეკონომიკურ განვითარებას, სოციალურ კეთილდღეობასა და «ეროვნულ ერთობას», ხოლო დემოკრატია განიხილებოდა, როგორც «სტაბილურობისა და უსაფრთხოების» ნაწილი. ნაზარბაევი ხშირად წარმოადგენდა «ეკონომიკურ ზრდას და სოციალური წესრიგის შენარჩუნებას» დემოკრატიული რეფორმების პრიორიტეტად. ამ კონტექსტში, 2007 წლის საკონსტიტუციო ცვლილებებით მიღებული «უშეღავათო ხელახალი არჩევის» უფლება საზოგადოებისთვის «სტაბილურობის გაძლიერებად იქნა წარმოჩენილი. 2010 წელს სპეციალური კანონი ნაზარბაევს „ელბასის“ (ეროვნული ლიდერის) სტატუსს

ანიჭებდა, რაც მას სახელმწიფო ინსტიტუტებსა და პოლიტიკურ პარტიებზე გავლენის შენარჩუნების შესაძლებლობას აძლევდა.

2019 წელს პრეზიდენტის პოსტზე კასიმ-ჟომარტ ტოკაევის მოსვლის შემდეგ, მან ყაზახეთის პოლიტიკაში ახალი კონცეფციები «ახალი ყაზახეთი», «სამართლიანი სახელმწიფო» და «სოციალური დიალოგი» დაამკვიდრა. თუმცა, 2022 წლის პროტესტების შემდეგ მიღებული რეფორმების მიუხედავად, საერთაშორისო ანგარიშები (Freedom House, EIU, 2022) მიუთითებს, რომ მედიისა და ოპოზიციური პარტიების კონტროლი კვლავ მაღალ დონეზეა.

ყირგიზეთი

ყირგიზეთში დამოუკიდებლობის შემდეგ ლიდერების (ასკარ აკაევი, კურმანბეკ ბაკიევი, როზა ოტუნბაევა, ალმაზბეკ ატამბაევი) რიტორიკა ხშირად მოიცავდა «ხალხის ნების», «თავისუფალი არჩევნების» და «საკონსტიტუციო რეფორმების» თემებს.

ასკარ აკაევი (1990–2005) თავი «ლიბერალურ და რეფორმისტ» ლიდერად წარმოაჩინა, თუმცა 1996 წლიდან პრეზიდენტის უფლებამოსილებების გაზრდას უჭერდა მხარს. 2005 წელს «ტიტების რევოლუციის» შედეგად გადაყენებულ იქნა კორუფციისა და ნეპოტიზმის ბრალდებით.

კურმანბეკ ბაკიევი (2005–2010): არჩევის შემდეგ დაჰპირდა «დემოკრატიულ სისტემას», მაგრამ მოგვიანებით «ხელისუფლების კონცენტრაციაში» და ოჯახის გავლენის გაძლიერებაში დაადანაშაულეს. 2010 წლის აჯანყების შედეგად გადააყენეს.

როზა ოტუნბაევა (2010–2011) და ალმაზბეკ ატამბაევი (2011–2017): ოტუნბაევამ ხელი შეუწყო საპარლამენტო სისტემაზე გადასვლას, მაგრამ ეკონომიკური პრობლემები და რეგიონული უთანასწორობა ვერ მოაგვარა. ატამბაევმა «ახალი კონსტიტუციური წესრიგისა» და «გამჭვირვალე მმართველობის» დაპირებები გასცა, თუმცა ოპოზიციასთან დაძაბულობამ რეფორმები შეზღუდა.

დასკვნა

სტატიაში განხილული მაგალითების მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ ყაზახეთში ჩამოყალიბდა რეჟიმი, რომელიც ეკონომიკური განვითარების ლეგიტიმაციაზე და სტაბილური მმართველობის დისკურსზე არის დაფუძნებული, თუმცა ამავე დროს ხასიათდებოდა ოპოზიციისა და ფუნდამენტური თავისუფლებების შეზღუდვის მექანიზმებით. ნავთობისა და ბუნებრივი აირის მაღალი შემოსავლებით უზრუნველყოფილმა ეკონომიკურმა კეთილდღეობამ დიდხანს შეინარჩუნა რეჟიმის ლეგიტიმაცია; თუმცა, პოლიტიკური სივრცე ძირითადად პრეზიდენტის გარშემო კონსოლიდირდა, რაც ოპოზიციური ორგანიზაციების თავისუფლებას ზღუდავდა. რეგულარული არჩევნები და მრავალპარტიული სისტემა, ფაქტობრივად, «კონკურენტული ავტორიტარიზმის» სტრუქტურას ასახავს. 2022 წლის პროტესტებმა და სამთავრობო ცვლილებებსაც კი არსებითად არ შეუცვლია რეჟიმის ძირითადი მახასიათებლები.

მეორე მხრივ, ყირგიზეთი ხშირად მოიხსენიება, როგორც «ღია» პოლიტიკური სისტემა ცენტრალურ აზიაში, ის 2005 წლის «ტიტების რევოლუციისა» და 2010 წლის აჯანყებების შემდეგ არასაიმედო და საგარეო დახმარებაზე დამოკიდებული პოლიტიკური მოდელის სახეს იღებს. საპარლამენტო სისტემისკენ გადადგმული ნაბიჯები, შედარებით თავისუფალი მედია და სამოქალაქო საზოგადოება ყირგიზეთს ცენტრალური აზიის სხვა ქვეყნებისგან განასხვავებს, თუმცა მთავრობის ხშირი ცვლილებები, ეკონომიკური მოწყვლადობა და კონკურენტული ელიტური სტრუქტურა კონსოლიდაციის დამკვიდრებას ართულებს. სოციალური მოძრაობების არსებობა დემოკრატიზაციისთვის პოტენციურ უპირატესობას

წარმოადგენს, თუმცა ინსტიტუციური ინფრასტრუქტურის სისუსტე და საგარეო დახმარებაზე დამოკიდებულება რეფორმების მდგრადობას საფრთხეს უქმნის.

ორივე შემთხვევის შედარებითი ანალიზი აჩვენებს, რომ ცენტრალური აზია წარმოადგენს პოსტ-საბჭოთა მემკვიდრეობის მრავალფეროვნებას, რაც აისახა გეოპოლიტიკურ კონკურენციაში, ეკონომიკური რესურსების განაწილებასა და ადგილობრივი პოლიტიკური კულტურის ფორმირების საკითხებში. ყაზახეთში «სტაბილურობასთან ერთად ეკონომიკური განვითარების» დისკურსზე დაფუძნებული ავტორიტარული ტენდენციები გამოვლინდა, ხოლო ყირგიზეთში "პერიოდული რევოლუციებით" გამორჩეული არამდგრადი სტრუქტურა დემოკრატიზაციის ორი განსხვავებული გზაა. თუმცა, კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ ვერცერთმა მოდელმა ვერ შეძლო სრულყოფილი და მდგრადი დემოკრატიული ისტიტუციების ჩამოყალიბება. ყაზახეთში ღრმად ფესვგადგმული ავტორიტარული ტენდენციები და ყირგიზეთში ინსტიტუციური სისუსტით გაღრმავებული პოლიტიკური კრიზისების სიხშირე ორივე ქვეყანას დემოკრატიული სტაბილურობის მიღწევას აშორებს.

ბიბლიოგრაფია:

Dahl, R. A. (1971). *Polyarchy: Participation and Opposition*. Yale University Press, pp. 1–16.

Diamond, L. (1999). *Developing Democracy: Toward Consolidation*. The Johns Hopkins University Press, pp. 25–95.

Freedom House. (2023). *Freedom in the World* Raporları.

Hale, H. (2014). *Patronal Politics: Eurasian Regime Dynamics in Comparative Perspective*. Cambridge University Press.

Huntington, S. P. (1991). *The Third Wave: Democratization in the Late Twentieth Century*. University of Oklahoma Press, pp. 3–25.

Huskey, E. (2009). Kyrgyzstan's New Politics: Kyrgyz Democracy? *Central Asian Survey*, 28(2), 101–115.

Joldoshov, A. (2010). Kirgizistan'da Demokrasi Sorunu. *Praksis*, (23), 173–204.

Linz, J., & Stepan, A. (1996). *Problems of Democratic Transition and Consolidation*. The Johns Hopkins University Press, pp. 5–45.

O'Donnell, G., Schmitter, P., & Whitehead, L. (1986). *Transitions from Authoritarian Rule*. The Johns Hopkins University Press, pp. 16–63.

Przeworski, A., & Teune, H. (1970). *The Logic of Comparative Social Inquiry*. Wiley-Interscience.

Radnitz, S. (2010). *Weapons of the Wealthy: Predatory Regimes and Elite-Led Protests in Central Asia*. Cornell University Press, pp. 10–70.

Roy, O. (2000). *The New Central Asia: The Creation of Nations*. I.B. Tauris.

Schatz, E. (Ed.). (2009). *Political Participation in Kazakhstan*. Woodrow Wilson Center Press, pp. 45–60.